603/13.833


# ლელო

№ 86
(11 235)

30 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, 1998 წ. ფასი 30 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


186 XI-XII

## SOS

ყველა ახალი ამბავი თბილისში სწრაფად ვრცელდება, თუმცა, ბევრი მათგანი ჭორია და შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ძალიან გვინდა, რომ იმის თაოგაჩეც, რაზედაც გუშინ რამდენიმე აღშფოთებულმა მოქალაქემ დარეკა რედაქციაში, ჭორი იყოს და არა სინამდვილე.

## მართლა იყიდება თბილისის სპორტის სასახლე?

აი, რა აღელვებდათ ამ ადამიანებს.

რედაქცია, რამდენიმე კომპეტენტურ უწყებას დაუკავშირდა, საიდანაც გადაჭრით არც დადებითი პასუხი მოუციათ, არც უარყოფითი. ისე, დარხეული ხმა სიმართლისკენ უფრო იხრება.

## ნუთუ!

ჭიდაობის ფედერაციის გაფართოებული სხდომა

## ვითარება საგანგაშო არ არის, მაგრამ... არის

ერთი შეხედვით, საქართველოს ფალავნებს ყველა ასაკში (ევროპის და მსოფლიო პირველობებში), წლეულს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თითქოს შთამბეჭდავი შედეგები არა აქვთ, მაგრამ ეს სულაც არ ყოფილა ასე, რასაც სტატისტიკა მოწმობს: 1995 წელი — სულ 10 მედალი, 1996 — 11, 1997-13, 1998 წელს — 22 ანუ თითქმის ორჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. თანაც ამ სათვალავში არ შედის მოსკოვის პირველი ახალგაზრდულ თამაშებში მოპოვებული 11 მედალი, ვინაიდან ეს სტატისტიკას გაამრუდებდა (წინათ ხომ ასეთი თამაშები არ ტარდებოდა), გულდასაწყვეტი, ცხადია, ისაა, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (დიდებში) ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერანაირი მედალი ვერ დაიმსახურა. ეს ფაქტები ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა მოიტანა ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. ცხადია, ბევრი რამ ითქვა ნაკლოვანებებზეც, მაგრამ დასახელდა წინსვლის შემაფერხებელი მიზეზებიც, მეტწილად ეკონომიკური სიდუხჭირე, დაოსტატების არახელსაყრელი პირობები და ა.შ. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვალიკო იაშვილმა განსახილველად გამოიტანა უცხოეთში წასვლის მსურველთა და ასაკობრივი ცენზის გამკაცრების საკითხი.

სხდომაზე განიხილეს შემოთავაზებული წინადადება — საქართველოს ფალავნებმა მონაწილეობა მიიღონ დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონატში, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიო ჩემპიონატის წინ გაიმართება და სპეციალისტებს კარგ სამსახურს გაუწევს ნაკრების დაკომპლექტებაში. ფედერაციამ ეს წინადადება მიიღო.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი და დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი.

„ლელო“ — „გუმათი“

სიდნეი — 2000

## ფილა-მ ლიცენზიების მოპოვების წესები დააგზავნა

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში მოვიდა საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) მიერ სიდნეიში 2000 წელს ოლიმპიურ თამაშებზე მოჭიდავეთა მოხვედრისათვის ლიცენზიების მოპოვების ახალი წესები.

ფილა იტყობინება, რომ თავისუფალ და ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ლიცენზიების მოპოვება სიდნეისათვის ჩაივლის სამ ეტაპად. I ეტაპია 1999 წლის იანვარ-აპრილში მსოფლიო ჩემპიონატები, საიდანაც ოლიმპიურ საგზურს მიიღებენ I-VIII ადგილებზე გასული ფალავნები; II ეტაპია 2000 წლის საერთაშორისო ტურნირები, რომელიც ხუთ საერთაშორისო ასპარეზობას მოიცავს, ლიცენზიას კი ის მოჭიდავე მოიპოვებს, რომელიც სამ ტურნირში აჩვენებს საუკეთესო შედეგს და იმავდროულად მოხვდება შვიდ უძლიერესს შორის. ხსენებული 5 ტურნირიდან 2 ევროპაში გაიმართება, თითო — ამერიკის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე. ჩათვლაში შევა ხუთიდან სამი ტურნირის საუკეთესო შედეგი.

III ეტაპია 2000 წელს გამართული კონტინენტების ჩემპიონატები, სადაც მხოლოდ გამარჯვებულები მიიღებენ ლიცენზიას.

ოლიმპიურ თამაშებში სულ თითოეულ წონაში გამოვა 20-20 ათლეტი, ე.ი. — სამივე ეტაპიდან ასეთი თანმიმდევრობით 8+7+5. ქვეყანამ, რომელმაც მოიპოვა ლიცენზია, უფლება აქვს, ამ წონაში ლიცენზიის მომპოვებელი, სხვა ფალავნით შეცვალოს.

„ლელო“ — „გუმათი“

იუბილე

## „შევარდენი“ - 80

*პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი გასულ ოთხშაბათს თბილისის ჭადრაკის სასახლეში. მოწვეულ სტუმრებთან ერთად მათ საზეიმოდ აღნიშნეს საქართველოს პირველი ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ დაფუძნების 80 წლისთავი.*

*ქართული სპორტის აღმავლობის ყველა შემდგომი პერიოდი და საერთაშორისო აღიარება „შევარდენის“ სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ ის იყო, რჩება და დარჩება მომავალშიც ყველა წარმატებათა მესაძირკვლე. მის მყარ ფუძეზე აღმოცენდა ცნება ქართული სპორტი, რომელსაც დასასრული არ უწერია. სწორედ ამის ღრმა შეგნებით მიაგეს შეკრებილებმა პატივი „შევარდენის“ დამფუძნებლების ხსოვნას, შემდგომი თაობების ღვაწლმოსილ ადამიანთა გარჯას.*

*„შევარდენის“ მემკვიდრე სპორტის ვეტერანი მუშაკები სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.*

**სააგენტო „გუმათი“**

### წოდების მინიჭება

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ***სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა:***

***თენგიზ კუბლაშვილს*** — წამყვან სპეციალისტს

***ნინა ყურაშვილს*** — წამყვან სპეციალისტს

***რობერტ მიქაძეს*** — ტანვარჯიშის სპორტსკოლის დირექტორს

***ვაჟა გოგიაშვილს*** — წამყვან სპეციალისტს.

***საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ:***

***ირაკლი ზურაბიანს*** — მწვრთნელს ბ/რ ჭიდაობაში

***ვლადიმერ ზურაბიანს*** — მწვრთნელს ბ/რ ჭიდაობაში

***გურამ გულიდიშვილს*** — მწვრთნელს ბ/რ ჭიდაობაში

***გურამ მოდებაძეს*** — მწვრთნელს ძიუდოში

***ბერდია გუგავას*** — მწვრთნელს ძიუდოში.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელებით, სიგელებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდა შევარდენთა დიდი ამქარი. ერთი ჯგუფი წარდგენილია მთავრობის ჯილდოებზე.

## ამიერიდან ყიფიანი ბელგიაში იმუშავებს

დავით ყიფიანს, აღმაშენებელზე, რკინიგზის მუშაკთა კულტურის ცენტრში შევხვდი. 23 ოქტომბერს იგი მონაწილეობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის IV ყრილობის მუშაობაში. დელეგატების აღიარებით, მისმა არგუმენტირებულმა, ღრმად კომპეტენტურმა გამოსვლამ მნიშვნელოვნად განაპირობა არჩევნებში მერაბ ჟორდანიას გამარჯვება. მაშინ დათოს ვკითხე სინამდვილეს შეეფერება თუ არა ხმები, მისი ბელგიაში სამუშაოდ გადასვლის თაობაზე. მან დამიდასტურა ეს ინფორმაცია — იქაურ „მეჰელენს“ ვიბარებ ჯერ ერთი წლით, მერე ვნახოთო. პარალელურად თურმე ყიფიანი აპირებს კიოლნის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლასაც. ამრიგად, ორიოდე წელიწადში საქართველოს ეყოლება უმაღლესი დონის ლიცენზირებული მწვრთნელი.

და აი, სააგენტო „როიტერმა“ 28 ოქტომბერს გაავრცელა ეს ცნობა: „წარსულში სახელგანთქმულმა ქართველმა ფეხბურთელმა დავით ყიფიანმა ბელგიის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის გუნდი „მეჰელენი“ ჩაიბარა. ყიფიანი, რომელიც იაროსლავლის „შინიკს“ ზაფხულში ჩაუდგა სათავეში, ახალ კლუბს ერთი კვირის შემდეგ, რუსეთის ჩემპიონატის დასრულების მერე შეუერთდება. მოთამაშე ყიფიანს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოუგია, 70-80-იან წლებში კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში არაერთხელ უთამაშია“.

დაპირისპირებისამებრ, ყიფიანი აქტიურად ითანამშრომლებს „ლელოსთან“ და საინტერესო კორესპონდენციებით მოგვამარაგებს.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

სანქცია, სიახლეები!

## ერიხ ეკლე და იერნი უოკერი თბილისში

●

## ვეტერინარებმა 3 ქულით იზარალეს



***დღეს*** *თბილისში, სასტუმრო „მეტეხი პალასში“ არასაიდუმლო სეროზა გაიმართება — სფფ-ს ახალი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია წარუძღვება აღმასკომის ახალი შემადგენლობის პირველ სხდომას. სავარაუდოა, რომ ფედერაციის აღმასკომში 21 კაცი შევა და მასში ძველებიდან 2-3 ადამიანს თუ ვიხილავთ. ეს ვითარება სულაც არაა გასაკვირი — ახალ ხელმძღვანელს ახალი კადრები გამოჰყავს არენაზე.*

*ისე, თანამშრომელთა გადახალისების პროცესი რომ უკვე დაწყებულია, ფედერაციაში მისვლისთანავე შეიგრძნობ — ირგვლივ დაძაბული სახეები, ჩურჩული, სხვადასხვა ვერსია. გუშინ რამდენიმე სიახლის შესახებ შევიტყვეთ, რომლის დადასტურება - უარყოფა, ალბათ, მხოლოდ ჟორდანიას თუ შეუძლია. ჯერჯერობით კი, არაოფიციალური ცნობით, გავიგეთ, რომ ფედერაციაში აღარ იმუშავებენ ალექსანდრე ჩივაძე, დავით კვინიკაძე, ნო:*

იხ. მე-3 გვ.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი ● გამოტოვებული მატჩები

ოდიში (ზუგდიდი) — ტორპედო (ქუთაისი) 1-3

გორდა (რუსთ.) — დინამო (თბ.) 0-0

გურია (ლანჩხუთი) — დილა (გორი) 4-2

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. (-) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო (ქუთ.) | 11 | 8 | 2 | 1 | 29-12 | 26 (-7) |
| დინამო (თბ.) | 10 | 7 | 3 | 0 | 35-7 | 24 (-6) |
| ლოკომოტივი (თბ.) | 11 | 5 | 6 | 0 | 15-5 | 21 (-12) |
| დილა (გორი) | 11 | 6 | 2 | 3 | 16-11 | 20(-13) |
| კოლხეთი-1913(ფთ.) | 10 | 6 | 2 | 2 | 23-13 | 20(-10) |
| დინამო (ბთ.) | 11 | 4 | 5 | 2 | 18-10 | 17(-16) |
| იბერია (სამტრ.) | 11 | 5 | 1 | 5 | 22-25 | 16(-17) |
| ოდიში (ზუგდ.) | 11 | 4 | 1 | 6 | 8-16 | 13(-20) |
| არსენალი (თბ.) | 11 | 3 | 3 | 5 | 13-20 | 12(-21) |
| მერანი-91 (თბ.) | 11 | 2 | 6 | 3 | 7-11 | 12(-21) |
| ვიტ-ჯორჯია (თბ.) | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 11 (-22) |
| გურია (ლანჩხ.) | 11 | 3 | 1 | 7 | 13-29 | 10(-23) |
| თსუ | 11 | 2 | 3 | 6 | 11-17 | 9(-24) |
| გორდა (რუსთავი) | 11 | 1 | 6 | 4 | 6-8 | 9(-24) |
| სიონი (ბოლნისი) | 11 | 2 | 2 | 7 | 11-26 | 8(-25) |
| სამგურალი(წყალ.) | 11 | 2 | 1 | 8 | 9-26 | 7(-26) |

*შენიშვნა: „ვით-ჯორჯიას“ დაკლებული აქვს სამი ქულა.*

მორიგი, XII ტური 31 ოქტომბერს დაიწყება და 4 დღით „გაიწელება“. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიდერთა შეხვედრა — ქუთაისელები ჩვენი ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს შაბათს, 14 საათზე თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაეჯიბრებიან.

ჭადრაკი

## ცნობები ათენიდან

ათენში ქართველი მოჭადრაკეების დიდი ჯგუფის მონაწილეობით მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი, რომლის 4 გამარჯვებული ლას-ვეგასში ნოკაუტ-სისტემით 100 დიდოსტატს შორის „ილიუმჟინოვის ჩემპიონატში“ ითამაშებს.

5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით წინ არის დიდოსტატი ვასილიუ სკორტინიუ (საბერძნეთი), მას 0,5 ქულით ჩამორჩება ზურაბ სტურუა, რომელმაც ბოლო ტურში დაამარცხა სომეხი მინასიანი. გია გიორგაძემ დღეისათვის 3,5 ქულა დააგროვა.

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

*რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე*



## კალათბურთი ქუთაისში

მეექვსე წერილი

**90-იან წლებში ქუთაისის კალათბურთელ ქალთა გუნდმა „მერბამ“ სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო. რა თქმა უნდა, სასახელო წარმატებები და ფართო აღიარება შემთხვევით არ მოსულა, თითქმის ორი ათეული წელია, რაც ჩვენს ქალაქში ქალთა კალათბურთის განვითარებას სათავეში ჩაუდგა თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცი ივანე მელაძე.**

კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ ნიჭიერი აღმზრდელის რთულ შემოქმედებით საქმიანობას, მხოლოდ საკალათბურთო ხელოვნებაში ღრმად ჩახედული კაცი თუ განსჯის რა კოლოსალური შრომა-გარჯის ფასად ზრდიდა და აოსტატებდა ივანე მელაძე კალათბურთზე შეყვარებულ გოგონებს. პირველ დიდ წარმატებას ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილებმა 1989 წელს მიაღწიეს, როცა ქუთაისის „ათინათმა“ პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში, ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, სკეპტიკოსების ერთი ჯგუფი ამ წარმატებას შემთხვევითობით ხსნიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ნააზრევს ცივი წყალი ისევ „ათინათმა“ გადაასხა — გუნდმა იმავე წელს რესპუბლიკის ახალგაზრდობის თამაშებზე კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. ყველაფერი ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მწვრთნელების ივანე მელაძის, ოთარ ჩაჩუას და მურმან სვანიძის დიდი გამარჯვება იყო.

შემდეგ ყველასაგან მოულოდნელად გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგარი გუნდი ერთბაშად დაიშალა, მიზეზი? ერთბაშად რვა ქალიშვილმა ოჯახი შექმნა და დედები გახდნენ. ბუნებრივია, ვანო მელაძისათვის ერთი შეხედვით ძნელი იყო საათის მექანიზმივით აწყობილი გუნდის დაშლა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ „განაწყენებულმა“ მწვრთნელმა ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა თავის შეგირდებს საოჯახო საქმიანობაში გამარჯვება.

შემდეგ ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები,

იხ. მე-3 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 80,82-85



## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 471:398 | 10 |
| თსუ | 6 | 3 | 3 | 540:514 | 9 |
| ვითა | 5 | 4 | 1 | 370:357 | 8 |
| შევარდენი | 5 | 3 | 2 | 349:339 | 8 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 424:415 | 8 |
| კოლხა | 6 | 1 | 5 | 473:570 | 7 |
| მაკაბი | 6 | 0 | 6 | 483:535 | 6 |
| სდასუ | 5 | 0 | 5 | 385:449 | 5 |

შენიშვნა: „ვითას" დაკლებული აქვს 1 ქულა.

ვერის ბაღში გაიმართა VI ტურის მატჩები: კოლხა — შევარდენი 80:104, ვითა — მაკაბი 90:85, სდასუ — დინამო 76:91, თსუ — აზოტი 91:99.

აღსანიშნავია, რომ შევარდნელმა დავით აკოლაშვილმა გუნდს 48 ქულა მოუტანა, რაც ჩემპიონატის რეკორდია (აზოტელმა ლაშა ბაბიაშვილმა უწინ „დინამოსთან" 44 ქულა მოაგროვა).

ახლა გათამაშება დროებით შეწყდება, ევროპის ჩემპიონატისათვის საქართველოს ნაკრების მზადების გამო.

## ველოსპორტი საქართველოს პირველობა

# „შევარდენი" და „მართვე" პირისპირ...



*თბილისის ძველმა ველოტრეკმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ასპარეზობაში ძირითადად მონაწილეობდნენ „შევარდენისა" და „მართვეს" ველოსიპედისტები. სპრინტში პირველობის გარდა ცნობილი მრბოლის ჯემალ ზანდუკელის ხსოვნის პრიზიც გათამაშდა, რომელიც შევარდნელმა გარი ბეგლაროვმა მოიგო. პრიზს ამ სპორტსმენს ფინალში „მართვეს" წარმომადგენელი გიორგი მგელაძე ეცილებოდა. მესამე ადგილი წილად ხვდა გია ქევხიშვილს („შევარდენი").*

*500 მ. გიტში ადგილიდან ასპარეზობაშიც ბეგლაროვმა გაიმარჯვა — 38,54, მეორე ადგილი დათო როჭიკაშვილს („მართვე") ხვდა — 38,78, მესამე — მგელაძე იყო — 38,80.*

# ... და კიდევ საიუბილეო

*„შევარდენის" 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საგზატკეცილო ველორბოლაში, რომლის ფინიში კუს ტბის მიდამოებში მოეწყო, ამ სპორტსაზოგადოების სპორტსმენები მონაწილეობდნენ. პირველობა მოიპოვა გია ქევხიშვილმა, მეორე იყო გარი ბეგლაროვი, მესამე — დათო ბულბულოვი, სამივე მრბოლი საქართველოს ნაკრების წევრია.*

უსახსრობა და... უგულობაც?

# დაფიქრდით: რეზერვის მომზადება საფრთხეშია

**ზოგჯერ ამა თუ იმ შეჯიბრების არა შედეგი, არამედ მონაწილეთა წარმომადგენლობა უფრო დაგაფიქრებს. ახლა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჩვენში ჭიდაობის სახეობებში რეზერვების მომზადებაზე ხელს იღებენ ქვეყნის რეგიონები. არადა, მიზეზი, თანაც როგორი, ყველას გაჩნია — უსახსრობა.**

ამ დღეებში სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ღია პირველობამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, აღმაშფოთებელი ფაქტი გამოავლინა — ქვეყნის მხოლოდ რამდენიმე ერთეული — ქალაქისა და რაიონის წარმომადგენელი ჩამოვიდა საასპარეზოდ. ბევრიც თბილისში ცხოვრობს და ვარჯიშობს, მაგრამ იმათი სახელით გამოდის, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა სპორტში და ისინი რომ არა, პირველობა ძალზე უფერული გამოდგებოდა. ბათუმელი მოჭიდავეები უმწვრთნელოდ ეწვივნენ თბილისს — სხვა რა გზა იყო, ორგანიზატორებმა (სასწავლებლის დირექტორი მერაბ მეტრეველი, სასწავლო ნაწილის გამგე ალბერტ კუხიანიძე),



რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს პირველობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ისინი საასპარეზოდ დაუშვეს. შეჯიბრება ჩატარდა 1984-85 წლებში დაბადებულთათვის.

**ქვარცხლბეკი:**

***29 კგ:*** 1. რეზო ლაშხი (ბორჯომი), 2. აკაკი ძამაშვილი (მარტყოფი), 3. გოჩა ბუკი (ოლიმპიური სასწავლებელი ორს — ხობი); ***32 კგ:*** 1. ვასილ ეზეიშვილი (ლანჩხუთი), 2. ზაზა ნიკოლიშვილი (მარტყ), 3. ზურაბ ჩიხლაძე (თბილისი); ***35 კგ:*** 1. ზურაბ გუგუნაშვილი (მარტყ), 2. ივანე გულაძე (ბორჯომი), 3. სურაჯი გვასალია (ორს — ხობი), ***38 კგ:*** 1. ზურაბ ზავრაშვილი (რუსთავი), 2. ალექსანდრე ნაირაშვილი (მარტყ), 3. მანუჩარ ცხადაია (ორს — ხობი); ***42 კგ:*** 1. თემურ პაპოშვილი (რუსთავი), 2. უჩა ლაღიძე (ოზურგ.), 3. მზეჭაბუკ ჯიქია (ორს — ხობი); ***47 კგ:*** 1. დავით ბედინაძე (ორს — ბათუმი), 2. თამაზ გაბისონია (ორს — ხობი), 3. ტარიელ ჩადუნელი (ბორჯ); ***53 კგ:*** 1. გიორგი ნიკოლაშვილი, 2. აკაკი ჯოხაძე (ორივე — მარტყოფი), 3. ლევან ჯახია (ორს — ჩხოროწყუ, ხობი); ***59 კგ:*** 1. ლაშა ლომაძე (ოზურგ.), 2. ლევან დევაძე (ბათუმი), 3. ომარ ბაკურიძე (ორს — ბათუმი); ***66 კგ:*** 1. ალექსი წეველიძე (ბორჯომი), 2. პაატა გორდაშვილი (მარტყ.), 3. მამუკა მაჯგალაძე (ბათ.); ***73 კგ:*** 1. მიხეილ ჩიქოვანი (ორს), 2. ვახტანგ დოლიძე (ოზურგ.), 3. ირაკლი მამალაძე (ბათ.); ***85 კგ:*** 1. ბერდია გერგედავა (ორს — აფხაზეთი), 2. კობა კალანდაძე (ბათ.), 3. ლევან ბიგანიშვილი (თბ.); ***+85 კგ:*** 1. პაატა წიწილაშვილი (ზესტ.), 2. ავთანდილ ლომსაძე (რუსთ.), 3. ზაურ უმანკოშვილი (თბ).

მიხეილ ჭუჭუნავა



# 31.X – 1.XI

**თბილისის სპორტის სასახლე**

## თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

# ძიუდოში

**მონაწილეობენ: იაპონიის, საფრანგეთის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს უძლიერესი ფალავნები.**

## მძლეოსნობა ბორჯომის კროსი

# ახმეტაში და საგარეჯოში სპორტს ახლებურად უდგებიან...

მძლეოსნური კროსები ჩვენში თითქმის ტრადიციულად იქცა. ასეთი ღონისძიებები სპორტის ამ სახეობის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. ბორჯომის საშემოდგომო კროსმა მართლაც სასიხარულო ფაქტები დააფიქსირა. ახმეტის რაიონიდან, მაგალითად, ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა უსუფ ღულელაურმა საკუთარი ავტობუსით ჩამოიყვანა მორბენლები და, რაც მთავარია, მათ სტუმრობას ბორჯომში მეორე ამოცანაც ჰქონდა — ექსკურსია. საგარეჯოს რაიონის გამგებელს თენგიზ ოქროელვარიძეს კი მთლიანად დაუფინანსებია საგარეჯოელთა გუნდი და გზა დაულოცია.

კროსი ჩატარდა ხუთ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც.

***1988 წელს დაბადებულნი და უმცროსები. 100 მ. გოგონები:*** 1. ნინო თათრულაიძე (ახმეტა) — 3,32, 2. ლანა ქალდანი — 3,59, 3. მარინა ოგანეზოვა (ორივე — ბორჯომი) — 4.06; ***ბიჭები:*** 1. ირაკლი ნიკოლაიშვილი (ვანი) — 3,25, 2. შალვა რაინაული (ახმეტა) — 3,32, 3. კარაპეტ კარაპეტიანი (ახალციხე) — 3,44.

***1986-87 წლებში დაბადებულნი. 1000 მ. გოგონები:*** 1. თამარ ბუცხრიკიძე (ქუთაისი) — 3,33, 2. სოფიკო ბექაური (თბილისი) — 3,43, 3. მარინა გვარამაძე (ახალციხე); ***ბიჭები:*** 1. გურამ ბიბილურიძე (თბ.) — 3,06, 2. მიხეილ ხმალაძე — 3,10, 3. არტურ ირელიანი (ორივე — ახალციხე) — 3,18.

***1984-85 წლებში დაბადებულნი. 2000 მ. გოგონები:*** 1. ადელია ალიევა (ბაქო) — 7,19, 2. ნინო ქვლივიძე (საგარეჯო) — 7,25, 3. ელიკო ხარაიშვილი (თბ.) — 7,45; ***ჭაბუკები:*** არსენ ხაძე (ახმეტა) — 6,41, 2. დავით გილაშვილი (საგარეჯო), — 6,44, 3. გიორგი ცხელიშვილი (ქუთ.) — 6.45.

***1982-83 წლებში დაბადებულნი. 2000 მ:*** 1. ნანა ქუთანაიძე (ახმეტა) — 7,03, 2. ნანა კაპანაძე (თბ.) — 7.10, 3. თეა მოდებაძე (ვანი) — 7.36; ***ჭაბუკები: 3000 მ:*** 1. ალექსანდრე ზაკომილდინი (თბ.) — 9.41, 2. გიორგი გოგოტიშვილი (ბორჯ.) — 9,54, 3. არტავაზ პაპოიანი (ახალციხე) — 10.06.

***უფროსი ასაკი. 3000 მ. ქალები:*** 1. ალიონა ტოტიევა (თბ.) — 12,39, 2. ლია გაფრინდაშვილი (ახმეტა) — 13,39, 3. ლიზა ბურნაძე (თბ.) — 13,49; ***ვაჟები. 6000 მ:*** 1. ზიგმუნდ ზილბეშტეინი (ახალციხე) — 18,52, 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბ.) — 19,28, 3. ფანიკ. ბაგიროვი (ბაქო) — 19,48. ამანათრბენი 8X400 (ოთხი გოგონა, ოთხი ვაჟი): 1. ბორჯომი, 2. თბილისი, 3. საგარეჯო.

„ლელოს" სპეც. კორ.,
ბორჯომი

## ჯანმრთელობის კუთხე



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

### მწვავე ბრონქიტი თუ განუხევთ

*ისეთი ვერაგი დაავადება, როგორიცაა მწვავე ბრონქიტი, ხშირად მეორდება და შეიძლება ქრონიკული ფორმაც შეიძინოს. მედიკამენტური მკურნალობა ყოველთვის არაა საკმარისი და საჭიროა მკურნალობის ფიზიკური მეთოდების გამოყენებაც. ყველაზე ხელმისაწვდომია მასაჟი (იხ. ნახ.) და სპეციალური სუნთქვითი ვარჯიშები.*



# სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები აღდგება

**ეს უკვე რეალობაა და ერთობლივი დადგენილებით დააკანონა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა. გახსოვთ ალბათ, ახალშექმნილმა სეოკ-მა პირველი თამაშები ჯერ კიდევ 1991 წელს ჩაატარა და იგი სრულიად საქართველოს სპორტულ ზეიმად იქცა. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ორგანიზატორებს მისი ჩატარების შესაძლებლობა აღარ მისცა და მხოლოდ ახლა გახდა ეს რეალური. თამაშები 1999 წელს გაიმართება და, როგორც ადრე სპარტაკიადები, ოლიმპიური**



**თამაშების წინ სპორტსმენთა შესაძლებლობების დათვალიერებისა და უძლიერესთა შერჩევას შეუწყობს ხელს. დამტკიცებულია დებულება, საორგანიზაციო კომიტეტი და მთავარი მსაჯი — ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე.**

**რეგიონების ხელმძღვანელებს ეთხოვათ ყველა ღონისძიება გაატარონ ასპარეზობათა მასობრიობისა და მაღალ დონეზე ჩატარების, რჩეულთა ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. თამაშების მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს წლის ბოლომდე განიხილავენ სეოკის სესიაზე.**

# სანქცია, სიახლეები!

(პირველი გვერდიდან)

დარ ანდრიაძე, ნოდარ კობერიძე, თემურ ფანიაშვილი... ეს სია, ეტყობა, ამ გვარებით არ ამოიწურება. ყველაფერი ორიოდე კვირაში გადაწყდება, ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ.

მანამდე კი, როგორც იტყვიან, ცხოვრება გრძელდება. გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია X ტურში თბილისური გუნდების „მერანი-91" – „ვიტ-ჯორჯიას" მატჩში მომხდარმა ინციდენტმა. გახსოვთ, ალბათ (ამის შესახებ „ლელომ" ოპერატიულად მიაწოდა ინფორმაცია მკითხველს) „ვიტ-ჯორჯიას" მცველმა ჭანკოტაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს, ქუთაისელ ნუგზარ რუსიშვილს. ასეთი თავშეუკავებელი საქციელი მეტად ძვირად დაუჯდა გუნდს: „ვიტ-ჯორჯიას" 3 ქულა დააკლეს, თავად ჭანკოტაძე კი ერთი წლითაა დისკვალიფიცირებული, 1000 ლარითაც დაჯარიმდა.

ზემოთ საშინაო საქმეებზე ვისაუბრეთ, ახლა ცოტა საერთაშორისო საკითხებზეც ვთქვათ. ჯერ ერთი, სფფ-ს პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით მერაბ ჟორდანია ყოველდღიურად იღებს მილოცვებს ფიფა-უეფადან, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტს მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო დიდად აფასებს. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა უეფას ჩინოსანთა ბოლო ვიზიტიც – გუშინწინ საქართველოში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს თავმჯდომარე, ჩვენში კარგად ცნობილი ერიხ ეპლე და სპორტნაგებობათა განყოფილების უფროსი იერნი უოკერი. მათ მოინახულეს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, სხვა სპორტული ნაგებობები და ამ ბაზების წესრიგში მოსაყვანად ყველანაირი დახმარება აღუთქვეს ახალარჩეულ პრეზიდენტს. სავარაუდოა, რომ შვეიცარიელ სტუმრებს მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი პირები, დღეს კი ეპლე და უოკერი „მეტეხი პალასში" სფფ-ს აღმასკომის ახალ შემადგენლობასაც შეხვდებიან.



# წარმავალი საუკუნის მატჩის მოლოდინში



ძალიან საინტერესო სიახლეს ჯეროვანი მომზადება უნდა. ეს პროცესი საკმაოდ გრძელი და შრომატევადი გახლავთ. ამიტომაც უკვე მთელი წელია ბევრისმნახველი მენეჯერები „თავს დასტრიალებენ" კრივის გურმანებს გემრიელი „ლუკმა" რომ მოუმზადონ „წარმავალი საუკუნის მატჩის" სახელწოდებით, რომელშიც მთავარ მოქმედ პირებად იქნებიან სახელგანთქმული მაიკ ტაისონი და დღესდღეობით უძლიერესი მძიმეწონოსანი ევანდერ ჰოლიფილდი.

რაც მოხდა 1997 წლის ივნისში კრივის პოპულარულ სარბიელზე ლას-ვეგასში, ყველას კარგად ახსოვს. ჰოლიფილდის მოკბეჩილი ყურის ნაჭერი კარგა ხანს „ამშვენებდა" მრავალმილიონიანი გამოცემების პირველ გვერდებს. „მკვნეტელი-გმირი" კი წლობით დისკვალიფიციური აღმოჩნდა... მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ იმ დისკვალიფიკაციამ გაუწია დიდი სამსახური რეკლამის ვეებერთელა ტალღას რინგზე მომავალი ორთაბრძოლის შესახებ. ნევადის შტატის სპორტული კომისიის აკრძალვაში, რომელიც ამ უმეცარი გამოხდომის ორი თვის შემდეგ გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ წესის დამრღვევმა ამ შტატში ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად ლიცენზიის დაბრუნებასთან ერთად უნდა გადაიხადოს ჯარიმა – მატჩში მიღებული სამმილიონიანი ჰონორარის 10 პროცენტი.

საჯარო მონანიების შემდეგ ტაისონს კომიტეტისაგან მოწყალების იმედი უნდა ჰქონოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ პატიებასაც ელოდა, მაგრამ კომერციის კანონების მიხედვით, მას სულ სხვა სვლა შესთავაზეს... ერთ დღეს, როცა ლაპარაკი მომავალი მატჩის შესახებ რეალობად იქცა, ტაისონი თავისი ადვოკატის თანხლებით ნიუ-ჯერსიში ჩავიდა. ფულმა ამჯერადაც გააკეთა თავისი საქმე. კომიტეტში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „თვით ტაისონი" მიაკითხავდა, ამასთან, და ერთ-ერთ მათ სარბიელზე (ნევადაში) „წარმავალი საუკუნის მატჩის" პერსპექტივა გაჩნდებოდა. პრესტიჟის გარდა მთავარმა ფაქტორმა – ფულმა დააინტერესა იქაური კრივის მამები. ახლა ნიუ-ჯერსიში ლაპარაკობენ მხოლოდ მომავალ ორთაბრძოლაზე, რომელიც კრივის ბიზნესმენებს დიდ შემოსავალს ჰპირდება. საპრიზო ფონდი ალბათ 130 მილიონს გადააჭარბებს. რა თქმა უნდა, ბოლო მომენტამდე ბრძოლის მონაწილენი მთლად გარკვეულნი არ იქნებიან თუ რა ხდება მატჩის ირგვლივ. სხვაგვარად შეხვედრისადმი ინტერესი ბევრად ჩამოუვარდება უწინდელისას. აქედან გამომდინარე საკმაოდ დაეცემა ტრანსლაციის, ბილეთებისა და ტოტალიზატორის ფასი.

ტაისონ-ჰოლიფილდის პირველ შეხვედრაში ლას-ვეგასის რინგზე ტაისონმა ვერ გაუძლო ახალგაზრდა მეტოქის დაწოლას და მეთერთმეტე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა. ტაისონი ვერც განმეორებით შეხვედრაში აღმოჩნდა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, ადვილად წამოეგო ჰოლიფილდის მზაკვრულ ფანდებს, დაკარგა კონტროლი და ყურში სწვდა... კბილებით, რასაც დისკვალიფიკაცია მოჰყვა.

დღეს აღარავინ იხსენებს თუ რა მოხდა მაშინ; ყველას აინტერესებს, რა მოხდება აწი. რა თქმა უნდა, ყურის მოუკვნეტავად და მხოლოდ პატიოსან ბრძოლაში. ყველა სანახაობის მოლოდინშია. და რაკი ელიან სანახაობას, სათანადო მომზადება უნდა. ჯერჯერობით ამ სამზადისში ისეთი სიახლეებია, რომ ობივატელებს „ნერწყვი უნდა მოუვიდეთ". „წარმავალი საუკუნის მატჩი" კი ამ სამზადისის დაგვირგვინება იქნება, რომელმაც XX საუკუნის პლანეტის უძლიერესი მოკრივე უნდა გამოავლინოს.

ამ მატჩისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაღვივებულია ახლა, რადგან მისი მოწყობა რეალობად უნდა იქცეს მას შემდეგ, რაც ამ დღეებში ტაისონს ნევადის შტატის სასამართლომ ხმების შეფარდებით 4:1 რინგზე დაბრუნების ნება დართო და დაუბრუნა ლიცენზია.





ზედა სურათზე: მარცხნივ – ევანდერ ჰოლიფილდი, მარჯვნივ – მაიკ ტაისონი.

მაიკ ტაისონი, რომელსაც შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება არ ჰქონდა, სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად სპარინგ-პარტნიორებთან ბრძოლით კმაყოფილდებოდა. მისი მეტოქე კი აქტიურად „მოღვაწეობდა" რინგზე. ამ სურათებზე ასახულია ჰოლიფილდის ბრძოლის მომენტი ბინთან იბფ-ს ვერსიით მსოფლიო პირველობის შესანარჩუნებლად, რომელიც ჰოლიფილდის გამარჯვებით დამთავრდა.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### XI ტურის სტატისტიკა

- ტურის „მოვლენად" შეიძლება ჩაითვალოს წყალტუბოს „სამგურალის" ზედიზედ მეხუთე დამარცხება.
- ტურის „მატჩი": „ლოკომოტივი" – „დინამო" (თბ.). ამ შეხვედრის შემდეგაც X ჩემპიონატს ორი დაუმარცხებელი გუნდი შემორჩა.
- ტურის „მოთამაშედ" შეიძლება მივიჩნიოთ „ვიტ-ჯორჯიას" ფეხბურთელი გ. გვაზავა, რომელმაც „დუბლი" შეასრულა.
- ტურის „მიღწევა": ისევე, როგორც მეორე ტურში, აქაც სტუმრებს არ მოუგიათ არც ერთი შეხვედრა.
- ტურში არ დაფიქსირებულა არც ერთი „დიდი" ანგარიშით გამარჯვება.
- ტურის 8 მატჩში გატანილია 21 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,62 ბურთი).

მასპინძლებმა გაიტანეს 14 ბურთი, სტუმრებმა – 7. პირველ ნახევარში გატანილია 11 ბურთი, მეორეში – 10. ჩემპიონატის დაწყებიდან სულ გატანილია 248 გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,85).

- მასპინძლებმა მოიგეს 5 მატჩი, ფრედ დამთავრდა 3.

საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან, მასპინძლებმა გაიმარჯვეს 40 შეხვედრაში, ფრედ დამთავრდა 23 მატჩი, ხოლო სტუმრებმა გაიმარჯვეს 24-ჯერ.

- სტუმრად ყველაზე მეტი ქულა აიღო ქუთაისის „ტორპედომ" – 13. შემდეგ მოდიან: თბილისის „ლოკომოტივი" – 12 და თბილისის „დინამო" – 11.

ბოლნისის „სიონი" არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც სტუმრად არ მოუპოვებია არც ერთი ქულა.

- „დუბლი" შეასრულა 4 ფეხბურთელმა (გ. გვაზავა – „ვიტ-ჯორჯია" ა. კაიდარაშვილი – „დილა", განევი და მახარაძე – „გურია") სულ ჩემპიონატის დაწყებიდან „დუბლი" შესრულებულია 37-ჯერ.
- ტურში არ დანიშნულა არც ერთი პენალტი.
- ტურში ერთი ფეხბურთელია (ც. გოდერძიშვილი „სიონი") გაძევებული, 10 – გაფრთხილებული. ყველაზე „უხეში" მატჩი: „დინამო" (ბთ.) – „სიონი" (1 ფეხბურთელი გაძევებულია და 4 გაფრთხილებული).

**ბომბარდირები:**

**ჰ. წიწიბაძე („კოლხეთი-1913") – 10 გოლი.**
**ზ. იონანიძე („ტორპედო"). – 9.**
**ლ. ხომერიკი („დინამო", თბ.) – 8**
**მ. აშვეთია („დინამო," თბ.) – 8**
**ა. კაიდარაშვილი („დილა") – 8**
**თ. ტუღუში („დინამო", ბთ.) – 6.**
**გ. შენგელია („დინამო", თბ) – 6.**
**დ. მახარაძე („გურია") – 6.**

მოამზადა
ვეფხვია ჯალაღონიამ
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

### პირველი ჯგუფი ● გამოტოვებული მატჩები

ოდიში (ზუგდიდი) – ტორპედო (ქუთაისი) 1-3

**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი.**

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი (კუტალია, 23), კიპაროიძე, ტყემალაძე (ჯაბუა, 46), ანჯაფარიძე, ჩადუნელი, ბარქაია, მარკოზია (ტაბაღუა, 23), თოლორდავა, ენდელაძე.

*ტორპედო:* გრ. ჭანტურია, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ჩხაიძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ქებაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, ვაჩიბერაძე.

*გოლები:* 0-1 იონანიძე (17), 0-2 ქებაძე (56), 1-2 ენდელაძე (75, პენ.), 1-3 დ. ჯანაშია (88).

*მსაჯები:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

გურია (ლანჩხუთი) – დილა (გორი) 4-2

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი**

*გურია:* გოგუა, ფაცურია, კაკაჩია, კუკულაძე (პატარაია, 31), განევი, მ. გიორგაძე, ინიაშვილი (ბულუხია, 56), დ. მახარაძე (ლორია, 90), თიბილაშვილი, მელაძე, ზ. კვეკვესკირი.

*დილა:* მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, მოსულიშვილი (ბ. ჩიტაია, 62), შატაკიშვილი.

*გოლები:* 1-0 დ. მახარაძე (6), 1-1, 1-2 კაიდარაშვილი (17, 27), 2-2. დ. მახარაძე (40), 3-2, 4-2 განევი (47, 55).

გორდა (რუსთავი) – დინამო (თბილისი) 0-0

**რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი.**

*გორდა:* მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი (ჩოხელი, 85), ზირაქაძე, გაბელაია, ჩუხუა, ლ. ალადაშვილი.

*დინამო:* გვარამაძე, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, ი. მახარაძე (გ. მიქაძე, 46), ა. სახვაძე, გუჩუა (კვარაცხელია, 67), ლ. მიქაძე, დ. მუჯირი, აშვეთია, გ. შენგელია (რუხაძე, 84).

*გააფრთხილეს:* ჯელაძე (76).

*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი).



## საქართველოს თასი

გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებმაც მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ესენია: თბილისის „დინამო", „ლოკომოტივი", „ვიტ-ჯორჯია", „მერანი-91", თსუ, „არსენალი", ზუგდიდის „ოდიში", სამტრედიის „იბერია", წყალტუბოს „სამგურალი", გორის „დილა", რუსთავის „გორდა", ბოლნისის „სიონი", ბათუმის „დინამო" და „კოლეჯი", ფოთის „კოლხეთი-1913", ქუთაისის „ტორპედო".

# კალათბურთი ქუთაისში

(პირველი გვერდიდან)

ოსტატდებოდნენ ქუთაისელი გოგონები და საფუძვლიანად ერკვეოდნენ კალათბურთის ნიუანსებში.

1992 წლის 12 აგვისტოს ქუთაისის საკალათბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ქუთაისის ინდუსტრია-ბანკის (მმართველი თეიმურაზ ნიკოლაძე) სარემონტო მექანიკური ქარხნის (დირექტორი თენგიზ გვანცელაძე) და ფირმა „გლორიას" (დირექტორი ფირუზ ბურჯანაძე) თაოსნობით დაფუძნდა საკალათბურთო გუნდი „მეობა".

რესპუბლიკის მესამე ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ წარმატებით იასპარეზეს ქათაისელმა ქალიშვილებმა, „მეობა" გამოირჩეოდა სტაბილური შედეგიანობით, შესაშური სათამაშო დისციპლინით, მაღალი საშემსრულებლო ოსტატებით, სწრაფი, ლაღი, ლამაზი კალათბურთის დემონსტრირებით, რაც ესოდენ ხიბლავდა გულშემატკივრებს. მაშინ „მეობას" სპორტულ ღირსებას იცავდნენ გუცა ფურცელაძე (გუნდისთავი), ია გოგლიჩიძე, გვანცა ომიაძე, მაია კუპრაშვილი, ქრისტინე ლომიძე, ლია ჩეკურიშვილი, ელისო კომახიძე, მაკა კუპატაძე, მარიეტა კაკაურიძე, ქეთინო ქერდიყოშვილი, ეთერ ბალავაძე, ეთერ კორკოტაძე და თინა ბლიაძე.

„მეობამ" ასევე წარმატებით იასპარეზა ქვეყნის მომდევნო ჩემპიონატებში და 1996-1997 წლების საქართველოს უძლიერესმა გუნდმა უფლება მოიპოვა ევროპულ ტურნირში ესპარეზა „ლილიან რონკეტის" თასზე. ეს პატივი წილად ხვდათ გვანცა ომიაძეს, ქრისტინე ლომიძეს, მარიკა გრძელიშვილს, მაკა მიქაუტაძეს, მარიამ კაკაურიძეს, მარიამ კუპრაშვილს, ელეონორა კობახიძეს, მარიამ ძოწენიძეს, თამარ ბუილიშვილს, მანანა მაისურაძეს, გუცუნა ფურცელაძეს და ლია ჩეკურიშვილს.

მართალია ქუთათურებმა უკვე ორჯერ შეძლეს ამ პრესტიჟულ ტურნირში ასპარეზობა, მაგრამ პირველსავე პაექრობაში ხელი მოეცარათ. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენი თანაქალაქელები გავიდნენ დიდ სარბიელზე და სათანადო გამოცდილებაც მიიღეს.

სამწუხაროდ, ყველაფერი ეს წარსულის მოგონებაა, რადგან დღეს და, საერთოდ, ბოლო წლებში კალათბურთი ქუთაისში სულს ღაფავს. საქმე იქამდიც მივიდა, რომ ჩვენი ქალაქის ვაჟთა ნაკრები იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა ქვეყნის ჩემპიონატებში, რომ ყველასათვის ადვილად დასაძლევ ბარიერად იქცა. ჩვენთან საუბარში ცნობილ მწვრთნელებს ზაურ დოლაბერიძეს და ივანე მელაძეს არაერთხელ უთქვამთ, რომ „არავითარი საწვრთნელი პირობები და სპორტული ინვენტარი არ გაგვაჩნია. უფულობის გამო ვერც ბავშვთა ტურნირში ვმონაწილეობთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეები სკოლის დამთავრებამდე მშობლებს თბილისში მიჰყავთ და დღეს უკვე ბევრი თამაშობს თბილისის სხვადასხვა ბავშვთა საკალათბურთო გუნდებში".

იგივე ბედი ეწია საათის მექანიზმივით აწყობილი „მეობას". სამაგიეროდ, მის ხარჯზე თბილისის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები გაძლიერდა. „მეობის" დაშლის მიზეზი კი ის არის, რომ თვეების განმავლობაში დაპირებული ხელფასი გოგონებმა ვერ მიიღეს.

ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ თუ ამაგდარ მწვრთნელებს ზაურ დოლაბერიძეს, ივანე მელაძეს, ზაურ ჩარკვიანს, ოთარ ჩაჩუას, შოთა ჯავახიშვილს, თეიმურაზ ყუბანეიშვილს, რუსუდან ცირეკიძეს, მერაბ სვანიძეს, თემურ ცერცვაძეს და მრავალ სხვას დღესაც ადარდებთ თვალსა და ხელს შუა ქალაქში დაკარგული მდიდარი საკალათბურთო ტრადიციები.

ხშირად ქუთათურები ტელევიზორში თვალყურს ადევნებენ საქართველოს საკალათბურთო ცხოვრებას და რაოდენ დასანანია, რომ არსად ქუთაისი არ ფიგურირებს. არც ამაგდარი მამულიშვილების გივი კილაძის, გივი სვანიძის, სულიკო თორთლაძის, ოთარ სულაბერიძის, ოთარ ადეიშვილის, მიშა ჩოგოვაძის, კიჟი მესხის სულები გვაპატიებენ რიონისპირა ქალაქის მდიდარი საკალათბურთო ტრადიციების დაკარგვას.

# გვარდიოლა და მისი თანამოაზრენი ესპანური ფეხბურთის გადარჩენისთვის იბრძვიან

## ბოსმანის საქმემ კვლავ თავი შეგვახსენა

ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა პატრიოტიზმის თემა ამოატივტივა და აქტუალური გახადა ჩვენთვის. სხვა ქვეყნებში ეს საკითხი პრობლემატურად არც განიხილება, ვერც ფეხბურთელებს დააბრალებენ სამშობლოსადმი გულგრილობას და არც მხოლოდ „არაპატრიოტ“ ფეხბურთელებს მიაწერენ ეროვნული გუნდის წარუმატებლობებს. ყველაფერ ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ესპანეთში შეიქმნა ცნობილ ფეხბურთელთა თავისებური კომიტეტი ეროვნული გუნდისა და „ბარსელონას“ ნახევარმცველ ხოსეპ გვარდიოლას თაოსნობით (მის გარდა კომიტეტში კიდევ 7 ცნობილი ფეხბურთელია: ანდონი სუბისარეტა („ვალენსია“), „პაკო“ („დეპორტივო“), ალბერტო („სანტანდერი“), რობერტო სოლასაბალი („ატლეტიკო“), ფერნანდო იერო, ლუის მარტინესი (ორივე – „რეალი“) და იულენ გერერო („ატლეტიკო“).

მათი მიზანი ერთია – არ დაუშვან ესპანური ფეხბურთის კრიზისი: ბოსმანის საქმის გამო არ დაიჩაგრონ ესპანელი ახალგაზრდა ფეხბურთელები, ეროვნულ ნაკრებს ჰყავდეს ღირსეული ცვლა.

აი, რას ფიქრობს ყოველივე ამის შესახებ ხოსეპ გვარდიოლა:

„შექმნილი ვითარება იმისკენ გვიბიძგებს, რომ მწვავე დისკუსიები, რომელიც მოვაწყეთ, არსებითი გახლდათ. იძულებული ვართ ვიპოვოთ გამოსავალი ამ უწესრიგობიდან. ბოსმანის საქმე აშკარა სიგიჟის პროვოცირებას ქმნის და სიტუაცია მეტად სერიოზულია. და თუ არავის ძალუძს დაიცვას ესპანური ფეხბურთი, ამას ფეხბურთელები შევძლებთ. ვფიქრობ, ჩვენი რეაქცია ლოგიკურია, რადგან ისეთი წესები შემოიღეს, სადაც ფეხბურთელთა უფლებები სრულფასოვნად არაა დაცული.

ყველა ქვეყანას ერთიდაიგივე ამბიციები და იდეები აქვს: ჰყავდეს ისეთი ეროვნული ნაკრები, რომელსაც დიდი მიზნებისთვის ბრძოლის უნარი შესწევს. ამისთვის უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოწრთობის პროცესი, მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება თუ ვერ შევძლებთ უცხოელი ფეხბურთელების შემოჭრის შეზღუდვას.

ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ბოსმანის საქმე ასეთი უეცარი და ძლიერმოქმედი გამოდგებოდა (რა თქმა უნდა, უარყოფითი გაგებით) ესპანური ფეხბურთისთვის. ბოსმანის წესით ფეხბურთში მოღვაწე ბიზნესმენებმა კიდევ უფრო მეტი ფული იშოვეს და ამ ფულს ძირითადად კვლავ უცხოელი ვარსკვლავების გადაბირებას ახმარენ.


ხოსეპ გვარდიოლა

დღესდღეობით ოპტიმიზმის რეალური საფუძველი არ გაგვაჩნია, მით უმეტეს, როცა კლუბები გრძელვადიან კონტრაქტებს აფორმებენ უცხოელებთან. არა მგონია, რომ ესპანური ფეხბურთი, ან მთლიანად ესპანური საზოგადოებრიობა ეკონომიკურად ისე კომფორტულად იყოს მოწყობილი, რომ ყოველწლიურად ათასობით მილიონი პესეტი დახარჯოს ფეხბურთელთა იმპორტისათვის.

მთავარია, რომ ჩვენ უფრო ფილოსოფიურად და სტრატეგიულად მივუდგეთ საკითხებს, ვიდრე ეკონომიკური თვალსაზრისით. უნდა გაძლიერდეს მუშაობა ბავშვთა ფეხბურთში, განა „აიაქსმა“ ასეთი პოლიტიკით წააგო რამე?

„ბოსმანის საქმის გამო ის ფეხბურთელები, რომლებიც ევროკავშირის წარმომადგენლები არიან, უსამართლოდ იმყოფებიან უფრო ცუდ მდგომარეობაში. მაგალითად, ვისზე ნაკლები ფეხბურთელები ,არიან რონალდო, მიატოვიჩი თუ რედონდო, რატომ უნდა ჰქონდეთ სხვებს პრივილეგიები და მათ კი არა?

ჩვენ ვაპირებთ, რომ ეს პრობლემატური საკითხები პოლიტიკურ დონეზე დავაყენოთ, მაგრამ მოკლე დროში შედეგს მაინც ვერ მივაღწევთ – ბოსმანის საქმე „თამაშგარე მდგომარეობაში“ გვტოვებს. მაგალითად, ესპანურ კლუბებს შეუძლიათ არა უმეტეს ექვსი არაევროკავშირელი ფეხბურთელიც ჰყავდეთ, მაგრამ იქ ნებადართულია ესპანური პასპორტების გაცემა (ე.ი. მოქალაქეობის მინიჭება) ლათინოამერიკელებზე. ამით კი შესაძლებელი ხდება ექსტრა ვაკანსიების შექმნა არაევროკავშირელი ფეხბურთელებისთვის. საბოლოო ჯამში ესპანეთში ყველა პირობა იქმნება მოთამაშეთა იმპორტისთვის.

ხალხს ანუ გულშემატკივრებს ამასობაში თანდათანობით უყალიბდებათ მენტალიტეტი იმისა, რომ უცხოელები ესპანელებზე კარგად თამაშობენ ფეხბურთს, რის გამოც, ძნელია ისინი დაარწმუნო, რომ ჩვენც გვყავს ტალანტები. რაული, ალფონსო, აბელარდო, იერო, ლუის ენრიკე მაშინ წამოიჩიტნენ, როცა ბოსმანის წესები არ არსებობდა. ახლა კი რა შანსი აქვს ესპანეთის 18 წლამდე ან 21 წლამდე ნაკრებების ფეხბურთელებს წინსვლისთვის? ჩვენ, ანუ ფეხბურთელებს, რომლებიც ახლად შექმნილ კომისიაში გავერთიანდით, სარფიანი კონტრაქტები გვაქვს დადებული ძლიერ კლუბებთან და საკმაოდ უზრუნველყოფილნიც ვართ, მაგრამ ჩვენი ვალია გზა გავუხსნათ ქვედა დივიზიონებში მოთამაშე ფეხბურთელებს, რომელთა პროგრესი ხელოვნურადაა დამუხრუჭებული.

ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხები ყველასათვის პრობლემატური უნდა გახდეს. თუ ვეთაყვანებით ჰოლანდიელ ფეხბურთელებს, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მათ განსხვავებული გენი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ მათ ახალგაზრდა ფეხბურთელების განსხვავებული აღზრდის სისტემა შექმნეს. ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდის პროცესი რისკთანაა დაკავშირებული“.

**უეფას ოფიციალური ბიულეტენის მიხედვით მოამზადა დათო თავართქილაძემ**

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# II ჯგუფი IX ტური

## აღმოსავლეთი ზონა

ქანაგკო (სართიჭალა) — ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) 0-3, ზოოვეტი (თბილისი) — კახეთი (თელავი) 2-2, ხალიბი (რუსთავი) — სამგორი (გარდაბანი) 3-2, ალაზანი (გურჯაანი) — არსენალი-2 (თბილისი) 1-5, ალგეთი (მარნეული) — შსს აკადემია (თბილისი) 0-4, ღარწყალი (ძველი ანაგა) — მრეტები (თბილისი) 5-1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 8 | 7 | 0 | 1 | 19-5 | 21 |
| ღარწყალი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-7 | 20 |
| ყვარელი | 6 | 5 | 2 | 0 | 13-4 | 17 |
| ხალიბი | 6 | 5 | 0 | 1 | 15-6 | 15 |
| ალგეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 16-14 | 15 |
| არსენალი-2 | 8 | 4 | 2 | 2 | 13-11 | 14 |
| ზოოვეტი | 8 | 4 | 1 | 3 | 20-14 | 13 |
| კახეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-14 | 12 |
| დინამო-3 | 8 | 4 | 0 | 4 | 9-14 | 12 |
| ჭაბუკიანი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-13 | 10 |
| უნივერსიტეტი | 7 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |
| სამგორი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-15 | 4 |
| მრეტები | 8 | 1 | 1 | 6 | 8-19 | 4 |
| ალაზანი | 9 | 1 | 0 | 8 | 10-27 | 3 |
| ქანაგკო | 8 | 0 | 1 | 7 | 6-26 | 1 |

## ცენტრალური ზონა

თორი (ბორჯომი) — ცხუმი (სოხუმი) 1-0, ცხინვალი — მესხეთი (ახალციხე) 6-1, ქინერი (ქინვალი) — საუ (თბილისი) 0-3 (მასპინძელი გუნდი სათამაშოდ არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა), დილა-2 (გორი) — იბერია (ქარელი) 2-4, ვარძია (ასპინძა) — ლოკომოტივი-2 (თბილისი) 1-3, დინამო-2 (თბილისი) — იბერია (თბილისი) 2-1, განთიადი (კასპი) — ივერია (ხაშური) 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 8 | 7 | 0 | 1 | 28-10 | 21 |
| ლოკომოტ.-2 | 9 | 7 | 0 | 2 | 23-12 | 21 |
| იბერია (ქ.) | 9 | 6 | 1 | 2 | 18-6 | 19 |
| ივერია | 9 | 5 | 2 | 2 | 23-9 | 17 |
| განთიადი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-13 | 17 |
| ცხინვალი | 8 | 5 | 1 | 2 | 25-10 | 16 |
| საუ | 8 | 3 | 3 | 2 | 16-14 | 15 |
| თორი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-14 | 13 |
| ცხუმი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-13 | 10 |
| იბერია (თბ.) | 8 | 3 | 1 | 4 | 16-21 | 10 |
| მესხეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 15-24 | 7 |
| დილა-2 | 9 | 1 | 2 | 6 | 15-24 | 5 |
| ქინერი | 9 | 1 | 1 | 7 | 9-36 | 4 |
| ვარძია | 9 | 0 | 2 | 7 | 8-28 | 2 |

## დასავლეთი ზონა

### „ა“ ქვეჯგუფი

მეშახტე (ტყიბული) — რიონი (ქუთაისი) 2-0. დანარჩენი მატჩები დასავლეთი ზონის ორივე ქვეჯგუფში ცნობილი მოვლენების გამო გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 8 | 7 | 1 | 0 | 24-6 | 22 |
| მარგვეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 22-8 | 17 |
| სამგურალი-2 | 8 | 5 | 1 | 2 | 16-9 | 16 |
| დინამო (ბ.) | 7 | 5 | 0 | 2 | 17-8 | 15 |
| მეშახტე | 6 | 5 | 0 | 1 | 12-5 | 15 |
| ოკეანე | 8 | 5 | 0 | 3 | 7-8 | 15 |
| რაჭა | 8 | 3 | 0 | 5 | 12-13 | 9 |
| მალაროელი | 8 | 2 | 2 | 4 | 15-19 | 8 |
| საირმე | 7 | 2 | 1 | 4 | 3-8 | 7 |
| ტორპედო-2 | 8 | 2 | 1 | 5 | 8-15 | 7 |
| ჩიხურა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-16 | 6 |
| რიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 5 |
| იბერია-2 | 8 | 0 | 1 | 7 | 5-21 | 1 |

## დასავლეთი ზონა

### „ბ“ ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ.) | 7 | 5 | 1 | 1 | 17-3 | 16 |
| ენგური | 7 | 5 | 1 | 1 | 16-10 | 16 |
| სქური | 7 | 5 | 0 | 2 | 15-11 | 15 |
| მერცხალი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-9 | 13 |
| შუქურა | 8 | 4 | 1 | 3 | 12-14 | 13 |
| ეგრისი | 7 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| კოლეჯი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| ფაზისი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-8 | 10 |
| სამეგრელო | 8 | 3 | 1 | 4 | 13-12 | 10 |
| ოდიში-2 | 7 | 2 | 3 | 2 | 11-11 | 9 |
| ბახმარო | 8 | 2 | 1 | 5 | 7-19 | 7 |
| სალხინო | 7 | 2 | 0 | 5 | 12-19 | 6 |
| კოლხეთი-2 | 7 | 0 | 1 | 6 | 3-19 | 1 |



# „ლელოს“ საფეხბურთო ანონსი ● ნოემბერი

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი

### პირველი ჯგუფი

**XII ტური**

*1 ნოემბერი, კვირა*
თსუ — დინამო (ბთ)
*2 ნოემბერი — ორშაბათი*
მერანი-91 — ლოკომოტივი
*3 ნოემბერი — სამშაბათი*
ასკ — დილა

**XIII ტური**

*6 ნოემბერი, პარასკევი*
ვიტ-ჯორჯია — თსუ
*7 ნოემბერი, შაბათი*
ოდიში — ასკ
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
იბერია — სიონი
ლოკომოტივი — მეტალურგი
ტორპედო — მერანი-91
გურია — დინამო (თბ)
დილა — სამგურალი

**XIV ტური**

*14 ნოემბერი, შაბათი*
ასკ — სამგურალი
*15 ნოემბერი, კვირა*
დინამო (თბ) — დილა
ოდიში — დინამო (ბთ)
მეტალურგი — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი
თსუ — იბერია
კოლხეთი-1913 — ვიტ-ჯორჯია
*16 ნოემბერი, ორშაბათი*
მერანი-91 — გურია

**XV ტური**

*21 ნოემბერი, შაბათი*
ვიტ-ჯორჯია — ოდიში
*22 ნოემბერი, კვირა*
დინამო (ბთ) — ასკ
იბერია — კოლხეთი-1913
ლოკომოტივი — თსუ
ტორპედო — სიონი
გურია — მეტალურგი
დილა — მერანი-91
სამგურალი — დინამო (თბ)

### მეორე ჯგუფი

#### დასავლეთი ზონა. «ა» ქვეჯგუფი

**XI ტური**

*5 ნოემბერი. ხუთშაბათი*
იბერია 2 — მეშახტე
რიონი — ჩიხურა
*6 ნოემბერი. პარასკევი*
ტორპედო 2 — საირმე
სულორი — გაგრა
რაჭა — იმერეთი
ოკეანე — მარგვეთი
სამგურალი 2 — მალაროელი

**XII ტური**

*10 ნოემბერი. სამშაბათი*
საირმე — ჩიხურა
მალაროელი — რიონი
მარგვეთი — სამგურალი 2
მეშახტე — ოკეანე
იმერეთი — იბერია 2
გაგრა — რაჭა
ტორპედო 2 — სულორი

**XIII ტური**

*14 ნოემბერი. შაბათი*
სულორი — საირმე
რაჭა — ტორპედო 2
იბერია 2 — გაგრა
რიონი — მარგვეთი
*15 ნოემბერი. კვირა*
ოკეანე — იმერეთი
სამგურალი 2 — მეშახტე
ჩიხურა — მალაროელი

#### დასავლეთი ზონა. «ბ» ქვეჯგუფი

**XI ტური**

*6 ნოემბერი. პარასკევი*
ეგრისი — ენგური
შუქურა-სქური
კოლხეთი 2 — ფაზისი
სალხინო — მერცხალი
ოდიში 2 — კოლხეთი
კოლეჯი — ბახმარო.

**XII ტური**

*10 ნოემბერი. სამშაბათი*
კოლხეთი — კოლეჯი
მერცხალი — ოდიში 2
ფაზისი — სალხინო
სქური — კოლხეთი 2
ენგური — შუქურა
სამეგრელო — ეგრისი

**XIII ტური**

*14 ნოემბერი. შაბათი*
შუქურა — სამეგრელო
კოლხეთი 2 — ენგური
სალხინო — სქური
ოდიში 2 — ფაზისი
კოლეჯი — მერცხალი
ბახმარო — კოლხეთი

#### ცენტრალური ზონა

**XI ტური**

*6 ნოემბერი. პარასკევი*
დილა 2 — მესხეთი
ვარძია — ცხინვალი
დინამო 2 — იბერია (ქ.)
განთიადი — ლოკომოტივი
თორი — ს.კ. იბერია
ქინერი — ივერია
საუ — ცხუმი

**XII ტური**

*10 ნოემბერი. სამშაბათი*
მესხეთი — ცხუმი
ს.კ. იბერია — ქინერი
იბერია ქ. — განთიადი
ცხინვალი — დინამო 2
*11 ნოემბერი. ოთხშაბათი*
ივერია — საუ
ლოკომოტივი — თორი
დილა 2 — ვარძია

**XIII ტური**

*16 ნოემბერი. ორშაბათი*
ვარძია — მესხეთი
დინამო 2 — დილა 2
განთიადი — ცხინვალი
თორი — იბერია ქ.
ქინერი — ლოკომოტივი 2
საუ — ს.კ. იბერია
ცხუმი — ივერია

#### აღმოსავლეთი ზონა

*1 ნოემბერი. შაბათი*
იბერია — ალგეთი

**XI ტური**

*6 ნოემბერი. პარასკევი*
ალაზანი — მრეტები
ალგეთი — დინამო 3
ხალიბი — იბერია
ღარწყალი — ყვარელი
შავნაბადა — არსენალი 2
ქანაგკო — შსს აკადემია
ჭაბუკიანი — კახეთი

**XII ტური**

*10 ნოემბერი. სამშაბათი*
მრეტები — კახეთი
ყვარელი — შავნაბადა
*11 ნოემბერი. ოთხშაბათი*
შსს აკადემია — კახეთი
არსენალი 2 — ქანაგკო
დინამო 3 — ხალიბი
ალაზანი — ალგეთი
*12 ნოემბერი. ხუთშაბათი*
იბერია — ღარწყალი

**XIII ტური**

*16 ნოემბერი. ორშაბათი*
ალგეთი — მრეტები
ხალიბი — ალაზანი
ღარწყალი — დინამო 3
შავნაბადა — იბერია
ქანაგკო — ყვარელი
ჭაბუკიანი — არსენალი 2
კახეთი შსს აკადემია

*შენიშვნა: მატჩების დასაწყისი 14 საათზე.*

## ევროპის საკლუბო ტურნირები

### ჩემპიონთა ლიგა. IV ტური

*4 ნოემბერი*
აიაქსი — ოლიმპიაკოსი
კროაცია — პორტუ
გალათასარაი — რუსენბორგი
იუვენტუსი — ატლეტიკი
სპარტაკი (მ) — ინტერი
შტურმი — რეალი
ბარსელონა — ბაიერნი
მანჩესტერი — ბრონდბიუ
დინამო (კ.) — არსენალი
პანათინაიკოსი — ლანსი
ბენფიკა — ჰიკი
კაიზერსლაუტ. — ეინდჰოვენი
*25 ნოემბერი*
ოლიმპიაკოსი — პორტუ
აიაქსი — კროაცია
რუსენბორგი — ატლეტიკი
გალათასარაი — იუვენტუსი
ინტერი — რეალი
სპარტაკი — შტურმი
ბაიერნი — ბრონდბიუ
ბარსელონა — მანჩესტერი
არსენალი — ლანსი
დინამო — პანათინაიკოსი
ჰიკი — ეინდჰოვენი
ბენფიკა — კაიზერსლაუტერნი

### უეფას თასი

*3 ნოემბერი*
1/16 ფინალის განმეორებითი მატჩები
*24 ნოემბერი*
1/8 ფინალის პირველი მატჩები

### თასების მფლობელთა თასი

*5 ნოემბერი*
1/16 ფინალის განმეორებითი მატჩები
*26 ნოემბერი*
1/8 ფინალის პირველი მატჩები

## ევრო-2000

შესარჩევი ტურნირი
*18 ნოემბერი*
ალბანეთი — საბერძნეთი
იუგოსლავია — ირლანდია

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### კოლოსკოვს არ ენდობიან

რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის საბჭოს სხდომაზე უნდობლობა გამოუცხადეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს.

ლიგის ხელმძღვანელობას კოლოსკოვი ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ მიაჩნია რუსული ფეხბურთის პრესტიჟის დაცემაში საერთაშორისო ასპარეზზე და მის დაუყოვნებლივ შეცვლას მოითხოვს.

### ლოვჩევსაც სურს პრეზიდენტობა?

**ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ევგენი ლოვჩევმა განაცხადა, რომ კირსან ილიუმჟინოვი ტყუილად ასახელებს მას რუსეთში ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლაში თავის მომხრედ. საქმე ის არის, რომ ლოვჩევი ილიუმჟინოვს საერთოდ არ იცნობს, მას სრულ მარცხს უწინასწარმეტყველებს („იხმაურებენ, იხმაურებენ და ჩირგვში შეძვრებიან“) და თვით აპირებს პრეზიდენტობას.**

### დავიდოვი ბიშოვეცის ნაცვლად

ანატოლი ბიშოვეცის ნაცვლად, რომელიც ნაკრებთან ერთად აქამდე შეთავსებით „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელადაც მუშაობდა, სანკტპეტერბურგელთა ხელმძღვანელად ანატოლი დავიდოვი დაინიშნა.

ანატოლი დავიდოვი 45 წლისაა. ჯერ კიდევ რუსეთის წინა ჩემპიონატში იგი „ზენიტში“ თავის შვილ დმიტრისთან ერთად მცველად თამაშობდა და ამდენად ამ შეჯიბრების ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი იყო.

### ჯერჯერობით ვერაფერს ხდება

**ჰოლანდიის ნაკრები, როგორც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, განთავისუფლებულია შესარჩევი მატჩებისაგან და დაგეგმილი აქვს ამხანაგური შეხვედრების მთელი სერიის ჩატარება.**

**როგორც ჰოლანდიური პრესა აღნიშნავს, ჯერჯერობით ნაკრების ახალი მწვრთნელის ფრანკ რაიკაარდის მუშაობას კარგი არაფერი ეტყობა. ნაკრები უკლებლივ ყველა მატჩში უსახურად გამოიყურება.**

### „სანის“ ცნობას უარყოფენ

ლონდონის გაზეთ „სანის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულმა ცნობამ ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლისა და წამყვან ფორვარდ ალან შირერის აღშფოთება გამოიწვია. გაზეთი წერდა, რომ ჰოდლმა მკაცრად გააკრიტიკა შირერი ლუქსემბურგის ნაკრებთან „უგულო თამაშის“ გამო, თუმცა ინგლისელებმა მაინც მოიგეს ეს მატჩი ანგარიშით 3-0.

როგორც ჰოდლმა, ისე შირერმა განაცხადა, რომ მათ შორის არავითარი კონფრონტაცია არ ყოფილა, თუმცა აღნიშნეს, რომ მოთამაშეებმა განიხილეს ამ მატჩის შედეგი, ბევრი იკამათეს და მისი შედეგი არადამაკმაყოფილებლად ჩათვალეს.

— მთელი ეს მონათხრობი „სანში“ სხვა არა არის რა, თუ არა სისულელე — განაცხადა შირერმა. — დიახ, გასახდელ ოთახში დისკუსია გაიმართა, მაგრამ მე ახლა არ მინდა მის დეტალებზე ვილაპარაკო.

შირერს მიაჩნია, რომ ის, რასაც ლაპარაკობენ გასახდელში, მისი კედლებიდან არ უნდა გავიდეს. რაც შეეხება იმ სიტყვებს, რომელიც მას „სანმა“ მიაწერა, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ისინი არასოდეს გამოუყენებია.

ჰოდლმა შირერის მსგავსად ასევე გააკრიტიკა „სანი“ და მის ინფორმაციას „ბინძური ტყუილი“ უწოდა. წერილის მიზანი იყო მწვრთნელის იმიჯისათვის ზიანი მიეყენებინა, პირიქით კი მოხდა. ჰოდლმა ინგლისურ პრესას მოუწოდა ფეხბურთელებს მძიმე ბრალი კი არ დასდოს, არამედ, დაეხმაროს, და მხარი დაუჭიროს ევროპის ჩემპიონატის საგზურისათვის ბრძოლაში.

### მარადონა აღიარებს

**იტალიურ გაზეთ „ილ მატინოს“ კორესპონდენტთან საუბარში მარადონამ საინტერესო ფაქტები მოიყვანა იმ პერიოდიდან, როცა იგი „ნაპოლიში“ თამაშობდა. მან აღიარა, რომ, რათა დოპინგის ხმარებაში ტესტირების დროს დადებითი მონაცემები არ დადასტურებოდა, საკუთარი კლუბი მატჩის წინ მას სპეციალურად ამოწმებდა.**

**მარადონას არ უარუყვია, რომ კოკაინს იყენებდა, მაგრამ თქვა, რომ თამაშზე გამოსვლის წინ ყოველთვის „სუფთა იყო“.**

**— ყოველთვის წინასწარ ვიცოდი, რომ სადოპინგო კონტროლი არაფერს აჩვენებს. მე ხომ ყოველთვის წინასწარ მამოწმებდნენ. ვიცოდი, რომ მზადა ვარ და შემძლია ყოველგვარი შიშის გარეშე ვითამაშო, არც ჩემი კარიერა დავაყენო საფრთხეში და არც ჩემი კლუბი. თუკი წინასწარი შემოწმებისას („ნაპოლის“ კლუბის ექიმების მიერ) რაიმე საეჭვო იყო, უბრალოდ, სათამაშოდ არ გამოვდიოდი.**

**1991 წელს „კოკამ წყალი არ მოიტანა“. სადოპინგო შემოწმებამ, რომელსაც ფედერაცია ატარებდა, მაინც დაადასტურა დოპინგის გამოყენების ფაქტი და ფეხბურთელსაც 15 თვით დისკვალიფიკაცია მიეცა.**

### არა, საშუალო ფეხბურთელი როგორ არის!

სევილიის „ბეტისს“ ესპანეთის ჩემპიონატში არ უმართლებს, იგი მარცხს მარცხზე განიცდის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სევილიელი გულშემატკივრები შეეჩვივნენ თითქოსდა უცნაურ აზრს — ქვეყანაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი, ბრაზილიელი დენილსონი სხვა არა არის რა, თუ არა საშუალო ძალის მოთამაშე. ეს შეხედულება წლევანდელ ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ დაირღვა და ისიც მადრიდში, „რეალის“ წინააღმდეგ, როცა დენილსონი მარტოდმარტო უსწორდებოდა მასპინძლების მთელ გუნდს და „ბეტისს“ მოაგებინა კიდეც.

### კვლავ ფიფას იმედით

**მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ერთდროულად იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ჩატარდება, არადა, მომავალი მასპინძლები საკმაოდ ბევრ დეტალზე ვერ თანხმდებიან. იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ოკამის კვლავ ფიფას იმედი აქვს: „ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას — სასწრაფოდ მოსაწვევია მონდიალის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ“.**



---

**გამოცდილება** | დისკუსია იტალიურ სპორტულ პრესაში

## პროფესორი ბორდონი დეშამს არ ეთანხმება

**პროფესორმა კლაუდიო ბორდონმა, რომელიც მილანის „ინტერის“ მოთამაშეების ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს, თავისი აზრი გამოთქვა დიდიე დეშამის მოსაზრებების შესახებ.**

● ***რაშია მართალი დიდიე დეშამი?***

— უპირველეს ყოვლისა, მინდა დავაზუსტო, რომ არ ვეთანხმები მის მოსაზრებებს. ნაწილობრივ გასაგებია რა იწვევს ასეთ განცხადებებს. ეს იმ დაუკმაყოფილებლობის გამოძახილი გახლავთ, რომელსაც მოთამაშეები განიცდიან. სამწუხაროდ, საფეხბურთო კალენდარი მათ დასვენებისათვის დროს აღარ უტოვებს. მატჩები ერთმანეთს მიჰყვება, უმაღლესი დონის კლუბების მოთამაშეებს კი სეზონში 70-მდე მატჩში მონაწილეობა უწევთ. ჩვენ ვგულისხმობთ ქვეყნის ჩემპიონატს, თასების გათამაშებას, ნაკრებში გამოსვლებს.

● ***იტალიის ჩემპიონატის მონაწილეებს უფრო მეტი ფიზიკური დატვირთვის გადატანა უხდებათ, ვიდრე სხვა ქვეყნის ფეხბურთელებს?***

— ამაზე მუდმივად ლაპარაკობენ და ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის შედარება სხვებთან შეუძლებელია. ევროპის დანარჩენ ქვეყნებსა და სამხრეთ ამერიკაში პრინციპული მნიშვნელობა ათიოდე მატჩს აქვს, ჩვენთან კი თვით სახელგანთქმული გუნდი რისკს ეწევა, როცა პროვინციალებს ეთამაშება. ბოლო ოთხი წლის მანძილზე საზღვარგარეთელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც იტალიურ კლუბებში გამოდიან, ხელი შეუწყვეს ჩვენი ჩემპიონატის დონის ამაღლებას. ახლა მწვრთნელებზეც ვთქვათ: ისინი კოვერჩიანოს მწვრთნელთა უმაღლეს კურსებზე სწავლობენ საკუთარი ნაკლოვანების დაძლევას, აპრობირებული სქემების გამოყენებას, სწორედ ამიტომ არის გუნდების მაღალი საერთო დონე, თითქმის უმნიშვნელო განსხვავებაა გრანდებისა და მცირე კლუბების ფიზიკური მომზადების საკითხში. ამიტომ ფიზიკური დატვირთვა დიდ როლს თამაშობს ამ კლუბების კონკურენციის შენარჩუნების საკითხში.

ახლა რაიმე განსაკუთრებული განსხვავება მცირე, საშუალო და დიდი კლუბების მომზადებაში არ არსებობს. როცა ფეხბურთელები ჩემპიონობისათვის მებრძოლი კლუბებიდან ისეთებში გადადიან, რომლებიც „სერია A“-ში ადგილის შესანარჩუნებლად მიისწრაფვიან, აქ ისინი რაიმე განსხვავებას ფიზიკური მომზადების საკითხში ვერ გრძნობენ.

● ***მაგრამ სეზონის ბოლოს ხომ ისე გამოდის, რომ წამყვანი კლუბები სხვებზე ორჯერ მეტ მატჩებს თამაშობენ...***

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა. დეშამმა შენიშნა, რომ ის კლუბები, რომლებიც ჩემპიონატის გარდა ევროპულ თასებზეც გამოდიან, დიდ ფიზიკურ დატვირთვას განიცდიან. ეს კლუბის მთელ შემადგენლობას ეხება, ამიტომ ჩვენთვის ძნელია მუშაობის დაგეგმვა იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობენ. ისიც ვთქვათ, რომ ბევრი ჩვენი კლუბის ფეხბურთელი თავისი ქვეყნების ნაკრებებშიც გამოდის, სადაც სხვა საწვრთნელ ვარჯიშს იყენებენ. ამას ხანგრძლივი გადაფრენები და საათის სარტყელების შეცვლაც დავუმატოთ.

● ***მართალია თუ არა, რომ მცირე კლუბების მომზადება ისეა დაგეგმილი, რომ სწრაფ შედეგებს მიაღწიონ?***

— ეს კლასიკური გასამართლებელი პასუხია იმათთვის, ვისაც მწვრთნელის სავარძელი ერყევა. ასე ის მწვრთნელები ლაპარაკობენ, ვისაც სურს რამენაირად ახსნას თავისი დამარცხება. ასე ხდება, როცა სოლიდური კლუბი ჩემპიონატის დასაწყისშივე წაგებებს იწყებს. განსხვავება კლუბების მომზადების საკითხში იმდენად საბოლოო მიზნით კი არ არის განპირობებული, რამდენადაც იმით, თუ ვინ ვარჯიშობს მათ შემადგენლობაში. თუკი თქვენს განკარგულებაში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა, მაშინ მთავარი დასაყრდენი მათ ენთუზიაზმშია. ამ ახალგაზრდებს ისიც უნდა აჩვენოთ, თუ თქვენ თვითონ რას წარმოადგენთ. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ვარჯიშში უპირატესობა ენიჭება სისწრაფეს, სირბილს და ამ მხრივ თქვენ თვითონ უნდა უჩვენოთ მაგალითი ფეხბურთელებს. მცირე კლუბების ფიზიკური მომზადების დონეც ყველასათვის ნათელია. დიახ, ისინი მარცხდებიან, მაგრამ ფიზიკურად, როგორც წესი, ბოლომდე ძლებენ.

● ***როგორ მოქმედებს გუნდებზე სათასო მატჩების ჩატარება?***

— სათასო მატჩებში მონაწილეობის გარეშე, მარტო ჩემპიონატში თამაშით, მდგომარეობა გაიოლდებოდა, ჩემპიონატის მატჩებისათვის უკეთ შეიძლებოდა მომზადება. თუკი ერთ კვირაში პირველობის მატჩის გარდა, სათასო შეხვედრაც უნდა გაიმართოს, ამისათვის კარგი საძირკველი გაცილებით უფრო ადრე, მოსამზადებელ პერიოდში უნდა ჩაიყაროს, იმიტომ, რომ შემდეგ საამისოდ ნაკლები შესაძლებლობა იქნება. რაც შეეხება ჩემპიონობისათვის ბრძოლას, იგი უკანასკნელ სამ თვეში გაიმართება ხოლმე. იგებს ის, ვინც მეტი ფიზიკური ძალა შემოინახა.

● ***როგორ დგება მუშაობის გრაფიკი?***

— ეს ყოველი თვისათვის კეთდება, მაგრამ ყოველკვირეული კორექტივების შეტანაც ხდება საჭირო. მოთამაშეები ზოგჯერ ტრავმას იღებენ, ზოგჯერ დამატებითი დროის თამაშიც ხდება საჭირო, წინასწარ ყველაფერს ვერ განსაზღვრავ, მაგრამ უნდა შევეცადოთ ზოგი რამის გათვალისწინებას, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

● ***თუ დგება მოთამაშეების პირადი ბარათები?***

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ თითოეულს თავისი თავისებურებები ახასიათებს. ამის გათვალისწინებით სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები დგება, გამოვლინდება ხოლმე სპეციფიკური ნაკლოვანებანი მათი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

● ***მომზადების რა მოდელი გამოიყენა „ინტერმა“ უკანასკნელ სეზონში?***

— ჩვენ შევნიშნეთ, რომ წინა სეზონში გუნდს ფინიშზე პატარა ჩავარდნა ჰქონდა. ამიტომაც გავაძლიერეთ ფიზიკური მომზადება, ამასთან სეზონის განმავლობაში კორექტივების შეტანის აუცილებლობაც გავითვალისწინეთ.

● ***რა ადგილი უკავია მომზადების დროს დარბაზში მეცადინეობას?***

— ჩვენ დარბაზში ჩვეულებრივ ოთხშაბათს დილით ვმეცადინეობთ, როცა მატჩამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი. ეს მოთამაშის საბრძოლო მზადყოფნის აღდგენის საშუალებას იძლევა. ჩვენ პრესს ვიყენებთ, რეგულირებულ შტანგას, სკამს. მოთამაშეებმა იციან, რომ ინტენსიური მზადება მოელით, და ყოველთვის დიდი ხალისით როდი ხვდებიან ამას. თუმცა ეს ხომ ყველგან ხდება. თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. ჩვენს მუშაობას ხომ ფსიქოლოგიური ხასიათიც აქვს.

● ***რა როლს ასრულებს ფეხბურთში ფიზიკური ძალა?***

— იგი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც, ამასთან ერთად, მოულოდნელი უარყოფითი შედეგებიც კი შეუძლია მოგვცეს, თუკი ვარჯიში არასწორად ტარდება, ბიოფიზიკური და ბიომექანიკური კანონების ჯეროვნად გათვალისწინების გარეშე. ზოგი ტრავმა მუშაობის არასწორი მეთოდიკითაც არის გამოწვეული და ამის გამო ვზარალდებით კიდეც.

(გაგრძელება იქნება)




---

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### პრიმაკოვს ფეხბურთი უყვარებია

რუსეთის ახალ პრემიერ-მინისტრს ევგენი პრიმაკოვს გადაწყვეტილი აქვს პირველ ყოვლისა დაეხმაროს რუსეთის ეროვნულ ნაკრებს: „რა თქმა უნდა, ჩვენს ნაკრებს უკეთ შეუძლია ითამაშოს: ევრო-2000-ის გასულ სამ მატჩში იყო მომენტები, როცა ჩვენი ნაკრები სჯობდა მეტოქეს. მაგრამ მაინც წავაგეთ...“ პრიმაკოვის აზრით, ფეხბურთი მხოლოდ სპორტი როდია, ის მთელი ერის საკუთრებაა, თუ ეროვნულმა ნაკრებმა თამაში მოიგო, ეს საყოველთაო დღესასწაულია, ხოლო თუ წააგო, უ-ატესობისთვის – ტრაგედიაა.“

ამის მერე პრიმაკოვი ცდილობს გაერკვეს, თუ რატომაა კრიზისი რუსულ ფეხბურთში: „ერთ-ერთი მიზეზი, საბჭოთა კავშირის დაშლაა. ნაკრები ბევრად უფრო ძლიერი იყო, როცა მასში თამაშობდნენ ქართველები, უკრაინელები, ბელარუსები და უზბეკები“.

მაშ რა ვქნათ, რით ვუწამლოთ რუსულ ფეხბურთს? – აი კითხვა, რომელიც დღეს ბევრს აწუხებს რუსეთში. ცხადია, პირველ რიგში, აუცილებლად გადასახალისებელია საფეხბურთო კავშირის შემადგენლობა. თავად ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ამას წინათ აღიარა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მისი ერთადერთი კონკურენტი შეიძლება პრიმაკოვი იყოს (თუ თავად პრიმაკოვმა ინება კენჭი იყაროს ამ თანამდებობაზე).

### გაზა ფეხბურთს უბრუნდება

**ინგლისური გაზეთ „სანისთვის“ მიღებულ ინტერვიუში პოლ გასკოინმა განაცხადა, რომ კლინიკაში 16-დღიანი მკურნალობის შემდეგ განიკურნა ლოთობისაგან და კვლავ ფეხბურთს უბრუნდება. პოლმა უკვე ივარჯიშა ახალ გუნდ „მიდლსბროში“. მწვრთნელები ვარაუდობენ, რომ სავსებით შესაძლებელია ორ კვირაში გასკოინმა სათამაშო ფორმა აღიდგინოს.**

# მონიკა სელეშს ინტიმურ საკითხებზე საუბარი არ უყვარს

**ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მონიკა სელეში კვლავ დიდ გამარჯვებებზე ოცნებობს. მან მართალია „კრემლის თასი-98"-ის ფინალური მატჩი ფრანგ მარი პირსთან წააგო, ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე მაინც კარგ გუნებაზე იყო. „ლელოს" მოსკოველ კორესპონდენტს არკადი სმირნოვსაც მიეცა საშუალება რამდენიმე კითხვა დაესვა სელეშისთვის**

● *5 წლის წინათ მსოფლიოს რჩეული ჩოგანი იყავით, მაგრამ ცნობილმა მოვლენებმა იძულებული გაგხადათ სპორტული კარიერა შეგეწყვიტათ. ამჟამად რეიტინგში მეხუთე ადგილი გიკავიათ. ოცნებობთ კვლავ დაიბრუნოთ პირველობა?*

— ახლა სულ სხვა სიტუაციაა, ვიდრე უწინ. მაშინ ოთხი-ხუთი მოთამაშე თუ იყო, რომელსაც ნებისმიერი ბურთის მიღება შეეძლო. ახლა მათმა რიცხვმა ათს გადააჭარბა. გამოჩნდნენ შთამბეჭდავი აღნაგობის სპორტსმენი




ქალები, რომელთა სიმაღლე 180 სანტიმეტრს აღემატება. მათ ისეთი ძლიერი დარტყმა აქვთ, მტრისას. გარდა ამისა, თავად ჩოგანიც დააგრძელეს, რის გამოც თამაშის ტექნიკა შეიცვალა. ქალთა ჩოგბურთი თავისი სტილით ვაჟებისას მიუახლოვდა. წარსულში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი — ბრენდა შულცი იყო ფიზიკურად ძლიერი, ახლა ასეთი ბევრია. ამასთანავე, არის მარტინა ჰინგისი, იგი საკმაოდ მომცრო ტანისაა და მაინც ყველას უგებს. პარადოქსია, არა?

● *მზად ხართ, რომ კვლავ დაიბრუნოთ პირველი ჩოგანის ტიტული?*

— სწორედ ამისათვის დავბრუნდი ჩოგბურთში. იმედია, გაისად რამდენიმე ტურნირში გავიმარჯვებ, თუნდაც „დიდი სლემის" ერთ-ერთში მაინც. უამისოდ პირველი ჩოგანი ვერ გავხდები. თამაშის გასაძლიერებლად რეზერვი მაქვს. ძალიან მინდა უიმბლდონში გავიმარჯვო, ეს ჩემი ოცნებაა. უფრო მეტიც, „დიდი სლემის" მოგებაც არ მაწყენდა.

● *კონკრეტულად, რა გიშლით ხელს უმაღლეს მწვერვალზე დასაბრუნებლად?*

— ჩემი ფიზიკური მზადყოფნა შორსაა სასურველისაგან. ახლა დაუღალავად ვმუშაობ ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

● *გჭირდებათ წინამძღოლობის? რა გაქვთ კარგად დაცული?*

— მატჩამდე წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ვიქცევი. ადრე თამაშზე ყოველთვის მახლდა მამაჩემი. მისი გარდაცვალების შემდეგ ხან დედა დამყვება, ხან მეგობრები.

● *საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა თქვენი ნიშნობის შესახებ.*

— ინტიმურ საკითხებზე ჟურნალისტებთან არ ვსაუბრობ. თუ გავთხოვდი, ქორწილის შემდეგ შეგატყობინებთ.

## რა ხდება ქვეყანაზე

## მეხი დაეცათ

ეს უჩვეულო ამბავი სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგის პრემიერ-ლიგის საფეხბურთო მატჩში მოხდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ „ჯომო კოსმოსი" და „მოროკა სველოუ". 2 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მინდორს მეხი დაეცა და ფეხბურთელები მიწაზე გაიშხლართნენ. რამდენიმე წამში ზოგიერთი მათგანი მუხლებზე დაემხო და ხელებით თვალები და ყურები დაიფარა. მაყურებლები და მწვრთნელები მათ მისაშველებლად გაცვივდნენ. საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. რამდენიმე მოთამაშე ხელით გაიყვანეს, შოკში ჩავარდნილი ორი მათგანი კი საავადმყოფოში მოათავსეს.

# გარი კასპაროვი: მატჩი შიროვთან მაინც შედგება!



**ეს უკვე ყოველგვარი წესებისა და დებულებების დარღვევაა. როცა ფიდეს განუდგა და საკუთარი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, გარი კასპაროვმა გამოაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონობას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დაიცავდა (თუკი, რა თქმა უნდა, ამასობაში ვინმესთან არ დამარცხდებოდა). დაიცვა კიდეც — 1993 წელს იმ დროისათვის უძლიერეს პრეტენდენტ ნაიჯელ შორტთან (ინგლისი), 1995 წელს კი — ასევე უძლიერეს ვიშვანათან ანანდთან (ინდოეთი).**

ამის შემდეგ უკვე სამი (!) წელი გავიდა, მორიგი მატჩის პერსპექტივები კი (თუმცა პრეტენდენტი ალექსეი შიროვი მაისში გამოვლინდა) დღეისათვის ფრიად ბუნდოვანია.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამის შესახებ თვით კასპაროვი.

● ***შეიძლება თქვენი მატჩი შიროვთან ამა წლის მიწურულში გაიმართოს, თუკი სპონსორები გამოჩნდებიან?***

— ამ მხრივ იმედი ძალზე მცირეა. ძალიან ვწუხვარ, რომ თავისი ფინანსური მარცხის შესახებ რენტერომ (ვინც ადრე მატჩის სპონსორობა იკისრა), მხოლოდ აგვისტოს დასაწყისში შეგვატყობინა, ერთი სიტყვით, მანევრირების საშუალებაც კი არ დაგვიტოვა. ფაქტის წინაშე დაგვაყენა და მატჩის ჩატარებაზე უარი თქვა. ეს ძალიან უხერხულ დროს მოხდა: სერიოზული ადამიანები არ იყვნენ შვებულებიდან დაბრუნებული, 1998 წლის სარეკლამო ბიუჯეტები კარგა ხნით ადრე განაწილდა. და თუმცა მე და შიროვი თანახმანი ვიყავით საპრიზო ფონდის საგრძნობ შემცირებაზე, პოზიტიური პასუხი მაინც ვერ მივიღეთ. მართალია, ზოგმა ქალაქმა მატჩის გამართვის საკითხში აშკარა ინტერესი გამოავლინა, მაგრამ მხოლოდ მომავალი წლის დასაწყისისათვის.

● ***ეს წინადადებებიც ისევ ესპანეთიდან მიიღეთ?***

— დიახ. იმიტომ, რომ მთავარ ინტერესს ჩვენი მატჩისადმი სწორედ იმ ქვეყანაში იჩენენ, სადაც ახლა შიროვი ცხოვრობს. სხვა ქვეყნებში მცხოვრები ორგანიზატორებისათვის იგი არ არის ისეთი თვალსაჩინო ფიგურა, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩი ითამაშოს (აქამდე ნათამაშევ 13 პარტიაში კასპაროვმა შიროვი შვიდჯერ დაამარცხა, 6 პარტია კი ყაიმით დასრულდა — *რედ.*) თუმცა ვლადიმირ კრამნიკს მატჩი მოუგო... ნამდვილი მუშაობა მატჩის მოსაწყობად მხოლოდ ახლა დაიწყო, რადგან ადრე ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ რენტერო ყველაფერს ძალიან კარგად გააკეთებდა. ახლა ეს მატჩი, არსებითად თუ ვილაპარაკებთ, ორი კაცის — ჩემი და შიროვის საზრუნავი გახდა.

● ***ხომ არ გამოიწვევს ეს ამბები ლინარესის პოპულარული საერთაშორისო ტურნირის გაუქმებას, რომელსაც რენტერო აწყობს ხოლმე, ხომ არ შეიძლება უკვე ვილაპარაკოთ თქვენსა და რენტეროს მიერ დაარსებული „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს" აღსასრულზე?***

— რენტეროს პრინციპული შეცდომა ის კი არ იყო, რომ ორი მილიონი დოლარი ვერ გამონახა კასპაროვ-შიროვის მატჩის გასამართად. ასეთი მარცხისაგან ვინ არის დაზღვეული. მისი მთავარი შეცდომა ისაა, რომ საკუთარი შესაძლებლობები ზედმეტად შეაფასა. როცა ცნობილი გახდა, რომ მის გეგმას განხორციელება არ უწერია, ამის შესახებ ძალიან გვიან გვაცნობა — ანდალუსიის მთავრობამ უარი განაცხადა მატჩის პროექტში მონაწილეობაზე, ჯერ კიდევ კრამნიკ-შიროვის მატჩის მიმდინარეობის დროს გამოირკვა, რომ საქმე ძალიან ცუდად იყო: არავის უნახავს კონტრაქტზე ანდალუსიის მთავრობის წარმომადგენლის ხელმოწერა. საქმე ის არის, რომ მრავალი წლის განმავლობაში ლინარესის საერთაშორისო ტურნირების წარმატებით ჩატარების შემდეგ რენტეროს სავსებით ვენდობოდით. თუკი იგი ამბობდა „ტურნირი მოეწყობა", ეს იმას ნიშნავდა, რომ ეწყობოდა კიდეც. მაგრამ ეტყობა, თუნდაც ესოდენ ბრწყინვალე ტურნირების მოწყობა, როგორიც ლინარესია და მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია — მაინც განსხვავებული სიძნელის ამოცანებია. არ ვიცი, რა ბედი ეწევათ შემდეგში ლინარესის ტურნირებს, მაგრამ ახლა „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოზე", როგორც ორგანიზაციაზე, სერიოზული ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება, რადგან მისი პრეზიდენტი რენტერო თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.




*ესპანეთის 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენი, ალექსეი შიროვი ანდალუზიელ ლამაზმანებთან*

ყველაზე მეტად რენტერომ შიროვი მოატყუა. აი, რა არის ყველაზე სასაცილო: შიროვის მიერ დამარცხებულმა კრამნიკმა რაღაცა თანხა, თუნდაც მთლიანად არა, მაინც მიიღო, გამარჯვებულმა შიროვმა კი საერთოდ არაფერი (მკითხველებს გავახსენებთ ამ მატჩის საკმაოდ უცნაურ დებულებას: დამარცხებული იღებდა 100 ათას დოლარს, გამარჯვებული კი მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებას და იქ ჰონორარის მიღების იმედს — *რედ.*).

ჩემი სიტუაციაც არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო: მთელი საჭადრაკო წელი სწორედ ამ მატჩის გათვალისწინებით დავგეგმე.

ამ ბოლო ხანებში კასპაროვმა კიდევ ერთი ინტერვიუ მისცა.

● ***კიდევ გაქვთ იმედი, რომ შიროვთან მატჩი შედგება?***

— ჩვენი მატჩი, ცოტა არ იყოს, ჰაერში ჩამოეკიდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება, უკვე გვაქვს საკმაოდ დამაიმედებელი ცნობა ესპანეთიდან, მაგრამ ამაზე ნუ მალაპარაკებთ, მეშინია, თვალი არ ეცეს.

● ***„მსოფლიო საჭადრაკო საბჭო" რა, უკვე გარდაიცვალა?***

— არა, ეს იდეა არ მომკვდარა, მაგრამ „საბჭო" იმ სახით, როგორიც იგი რენტერომ ანდალუსიაში გააფორმა, უკვე აღარავის აინტერესებს.

● ***ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ სულ მარტო დარჩით?***

— არა, რატომ? არის კიდევ შიროვი, რომელთანაც ჩვენ ვითამაშებთ მატჩს მსოფლიო პირველობაზე.

## „ოთხთა ტურნირზე" ჟუ. პოლგარი მამაკაცების რისხვა

*„ოთხთა ტურნირი" ორ წრედ, რომელშიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბორის სპასკი (საფრანგეთი), მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ტალ შაკედი (აშშ); მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი იან ტიმანი (ჰოლანდია) და გამოჩენილი დიდოსტატი ქალი იუდით პოლგარი (უნგრეთი) მონაწილეობდნენ, პოლგარის უდავო, დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა.*

*მან პირველ წრეში სამივე პარტია მოიგო, რამაც გადაწყვიტა კიდეც პირველი ადგილის ბედი. მეორე წრეში მან ორი შეხვედრა (სპასკისთან და ტიმანთან) ყაიმით დაამთავრა, ერთი მოიგო და საბოლოოდ ბრწყინვალე შედეგით — 5 ქულით 6 შესაძლებლიდან პირველი პრიზი მოიპოვა. მას საგრძნობი მანძილით ჩამორჩა — 3,5 ქულით მეორე ადგილი იან ტიმანმა დაიკავა.*

## ლიდერობს ანანდი

*ტილბურგში (ჰოლანდია) მიმდინარეობს მეტად მაღალი, მე-18 კატეგორიის სუპერტურნირი 12 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით. ასპარეზობაში ჩაებნენ ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვლადიმირ კრამნიკი, პეტრე სვიდლერი, ვადიმ ზვიაგინცევი (სამივე — რუსეთი), მაიკლ ადამსი, მეტიუ სადლერი (ორივე — ინგლისი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), იერუნ პიკეტი და ლიუკ ვან ველი (ორივე — ჰოლანდია).*

*4 ტურის შემდეგ წინ არის მთავარი ფავორიტი — ანანდი. საინტერესოა, რომ უკვე მეორე ტურში იგი შეხვდა თავის ძირითად კონკურენტს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში კრამნიკს და დაამარცხა კიდეც.*










## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში, 7. სპორტის სახეობა, 8. მთამსვლელობა, 11. ცურვის სტილი, 12. ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე *(ფოტო)*, 13. კურორტი ბულგარეთში, 16. საგნის ნიმუში, 17. წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 21. მატჩის მონაკვეთი, 22. ცნობილი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 23. ერთ-ერთი წონა სპორტში, 26. მალამოს დამზადებით განთქმული გვარი, 27. გრძელ მანძილზე მორბენალი, 28. მთიანი მხარე საქართველოში.

**შვეულად:** 1. ავსტრალიაში გავრცელებული ცხოველი, 2. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე, 3. ტროპიკული მცენარე, 4. ერთ-ერთი ყველაზე საფეხბურთო ქვეყანა, ყოფილი სსრკ რესპუბლიკებიდან, 6. ისტორიული სოფელი დმანისის რაიონში, 9. დასაყრდენი, გამაგრებული ადგილი ომისათვის, 10. პირველი საპატიო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი საქართველოდან *(ფოტო)* 14. მუსულმანთა თავსაბურავი, 15. იტალიელი ფეხბურთელი, 18. საზეიმო ღრეობა, 19. ორ დგრას შუა გადებული საგანი სიგანეზე ხტომაში, 20. საქართველოს კუთხე, 24. ყინულზე სასრიალო იალქნიანი ნავი, 25. სამკაული.







**წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოგამოცანის" პასუხი:**

1978 წლის 16 ივნისი, თბილისის „დინამოს" სტადიონი. მძლეოსანთა გაზეთ „პრავდის" პრიზის გათამაშებაში ვლადიმერ იაშჩენკომ (სსრკ) მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 234 სმ! სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი როცა იაშჩენკო სარეკორდო სიმაღლეს გადაევლო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(თბილისი)




**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლc7!! – 2. კb5X, 1. ...ლ:d3+ 2. კf3X,
1. ...მფ:d3 2. კe4X,
1. ...მ:d3 2. კd5X,თეთრების ბატარეის საინტერესო თამაშით.
1. ...ლ:c7 2. ეd4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე